

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში
სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან
კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით
განხორციელების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში
(2020 წლის 4-8 აპრილი)

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულების საფუძველზე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აკადემიურ კალენდარში ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილება №1, 04.03.2020 წ. ოქმი №1), რომლის თანახმადაც გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ვადებმა გადაიწია ორი კვირით და განისაზღვრა შემდეგნაირად:

სააუდიტორიო მეცადინეობა – **24 თებერვალი – 19 ივნისი**

საგამოცდო სესიების პერიოდი – **21 ივნისი - 10 ივლისი**

დამატებითი გამოცდები – **13 ივლისი – 17 ივლისი,**

31 აგვისტო -11 სექტემბერი.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 16 მარტიდან დაიწყო სწავლა დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის ფორმების გამოყენებით უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვაში ხელშემწყობი აღმოჩნდა შემდეგი გარემოებები: 2011 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს **სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა**, რომელიც სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში ადმინისტრირების საშუალებას იძლევა. დაწესებულებაში 2012 წლიდან მოქმედებს **ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა moodle**. როგორც ცნობილია:

- Moodle ინოვაციური ელექტრონული სასწავლო მართვის გარემოს პედაგოგიური და ტექნოლოგიური ასპექტების რეალიზების საშუალებაა.
- Moodle წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ გამოყენებად სასწავლო პლატფორმას (ჰყავს დაახლოებით 65 მილიონი მომხმარებელი);
- შექმნილია სწავლა -სწავლების პროცესის ხელშემწყობისთვის;
- წარმოადგენს ღია კოდის სისტემას, რომელიც არ ითხოვს ლიცენზიის საფასურს;
- მომხმარებელზე მორგებული შესაძლებლობებით განახლებადი სისტემაა;
- რაც მთავარია, გვაქვს ქართულ ენაზე პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობა;

2013 წლიდან შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება მიმდინარეობდა Moodle-ის სასწავლო პლატფორმის გამოყენებით. იტვირთებოდა ყველა სასწავლო კურსის ტესტები და საგამოცდო ცენტრი კომპიუტერულ ლაბორატორიებში ატარებდა გამოცდებს. რადგან Moodle წარმოადგენს საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ფართო სპექტრს (ფორუმი, ჩატი, პირადი შეტყობინება, ბლოგი, კითხვარები, მოთხოვნები, კურსის მონაწილეების აქტივობების განხილვაზე მისაწვდომობის მოხერხებული ინსტრუმენტები), 2014 წელიდან უნივერსიტეტმა დაიწყო მისი გამოყენება სასწავლო კურსებისათვისაც. შესაბამისად, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობისთვის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი დარეგისტრირებული იყო პროგრამაზე, ასევე პედაგოგთა უმრავლესობა.

ბოლო წლების განმავლობაში პედაგოგებთან სისტემატურად მიმდინარეობდა ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლება ელექტრონული სწავლების პლატფორმის - Moodle-

ის პროგრამის მოხმარებისათვის. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ იქმნებოდა ელექტრონული სასწავლო კურსები, სტუდენტებს აძლევდნენ დავალებებს, ხდებოდა რეფერატების, პროექტებისა და ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე, ტარდებოდა გამოცდები აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხოლოდ მცირე ნაწილი არ სარგებლობდა ელექტრონული სწავლების პლატფორმით, შესაბამისად, მათ დასჭირდათ მომზადება, რისთვისაც სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელისა და საგამოცდო ცენტრის კონსულტანტის მიერ შეიქმნა და გაზიარდა ვიდეოინსტრუქციები დაინტერესებული პერსონალისათვის.

ელექტრონული სწავლების ფორმაზე გადასვლის უზრუნველყოფის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების სრული ჩართულობისა და მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მომზადდა კითხვარები. გამოკითხვა ჩატარდა, ელექტრონული სწავლების დაწყების შემდეგ, 4 აპრილს, ელექტრონულად [google. drive](#)-ის ფორმატში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ფაკულტეტის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა და სტუდენტებმა.

თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მომზადებული ანგარიშები წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხოლო კვლევის შეჯამებული, კონსოლიდირებული ანგარიში გაიგზავნა უნივერსიტეტის რექტორთან.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი ფაკულტეტი, სწავლება ხორციელდება 24 აკრედიტებულ და ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და რამდენიმე დამატებით (minor) პროგრამაზე. სწავლების პროცესში ჩართულია 64 აკადემიური და 73 მოწვეული პერსონალი.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში ჩართული 137 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან (64 აკადემიური პერსონალი, 73 მოწვეული სპეციალისტი) კვლევაში მონაწილეობა მიიღო 66 აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა, რაც საერთო რაოდენობის 49%-ს შეადგენს.

მიგნებები:

1. კითხვაზე გაქვთ თუ არა სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის შესაბამისი ელექტრონული საშუალებების არჩევის შესაძლებლობა, **გამოკითხულთა 95% დადებითად პასუხა.**
2. კითხვაზე გექმნებათ თუ არა სირთულეები ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, **90% პასუხობს, რომ არ ექმნებათ სირთულეები.**
3. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებთან კომუნიკაციისას აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს შემდეგ ელექტრონულ საშუალებებს: **ძირითადად Moodle, Big Blue Button, მცირე ნაწილი კი - Messenger, ელ ფოსტა, Zoom, viber, WhatsApp, Skyp, Google Meet, სმარტფონი;**

4. კითხვაზე ვის მიმართეთ დასახმარებლად, იმ შემთხვევაში თუ შეზღუდული გქონდათ წვდომა ინტერნეტთან ან სწავლებისათვის შესაბამისი სივრცე სახლებში, მიიღეთ თუ არა დახმარება, **60% აღნიშნავს, რომ მსგავსი დახმარება არ დასჭირვებია, ხოლო დანარჩენი აღნიშნავს, რომ მიმართავდა moodle-ს პროგრამის კოორდინატორს, საგამოცდო ცენტრს, ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის სამსახურს, ადმინისტრაციას. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პერსონალი გამოხატავს კმაყოფილებას ამ თანამშრომლობისათვის.**

5. კითხვაზე ელექტრონულ ფორმაზე გადასვლისას მოგიხდათ თუ არა სილაბუსში ცვლილებების განხორციელება, **80% აღნიშნავს, რომ ცვლილება არ განუხორციელებია, ხოლო 20 % აღნიშნავს:**

- ზეპირი გამოკითხვა შეიცვალა წერითი გამოკითხვით;
- შეიცვალა ზოგიერთი თემატიკა და დაემატა ვიდეოლექციები;
- სილაბუსში სააუდიტორიო სამუშაოს ნაცვლად, სტუდენტებთან შეთანხმებით წერით დავალებები შეფასდება (პორტფოლიო, კვლევა);
- სილაბუსში ცვლილებებია შესატანია, სადაც არის საველე პრაქტიკა და ლაბორატორიული სამუშაო.

6. კითხვაზე ხომ არ გექმნებოდა სირთულეები სტუდენტთა შეფასების ფორმებთან დაკავშირებით, **85% პასუხობს, რომ არ არის სირთულეები;**

7. **95%-ს არ აქვს სირთულეები საინფორმაციო წყაროებზე წვდომასთან დაკავშირებით;**

8. **გამოკითხულთა 80%-მა შეძლო სტუდენტების აქტიური ჩართულობა სალექციო/სასემინარო მუშაობაში;**

9. კითხვაზე როგორ განახორციელებთ პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს:

- **რომ სასწავლო კურსის ფორმატი არ ითვალისწინებს.**
- პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებს პროგრამების MOODLE- ZOOM და Big Blue Buton მეშვეობით, სადაც მარტივად ხორციელდება პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობები.
- ამოცანებს ვუგზავნი ამოხსნის ნიმუშით და დავალებებში ვამოწმებ რამდენად სწორადაა;
- მიცემული მაქვს ყოველი მესამე ლექციის ბოლოს კითხვები რომელსაც პასუხობენ და მე ვასწორებ და ვწერ ნიშანს, ასევე ელფოსტით ვაწვდი ლიტერატურის სრულ ვერსიას, სადაც ეს საკითხებია მოცემული;
- პრაქტიკული მეცადინეობა ჩავანაცვლეთ პრაქტიკული სავარჯიშოებით, რომელსაც სტუდენტი დამოუკიდებლად აკეთებს და შემდგომ ხდება შეფასება;
- პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტებს ეძლევა სავარჯიშოები განყოფილებიდან: „შეამოწმე შენი ცოდნა“, ასევე მრავალფარიანტული კითხვები და საგამოცდო სავარჯიშოები, რისი განხორციელებაც უპრობლემოდაა შესაძლებელი ელექტრონულ ფორმატში.
- ვმუშაობთ Google- ფორმებზე, Wordwall ზე, ვუსმენთ ვიდეო გაკვეთილებს (ქვიზებით), ვატარებთ პრეზენტაციებს ონლაინ რეჟიმში.
- ვუძღვები სასწავლო კურსებს გაძლიერებული პრაქტიკის კომპონენტით;
- ჩაშენებული პრაქტიკა ხორციელდება საჯარო სკოლებში. პანდემიისა და სოციალური დისტანცირების პირობებში, როდესაც ვერ ხერხდება სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრა და პრაქტიკის ობიექტებზე სილაბუსით განსაზღვრული სახით პრაქტიკული საათების ჩატარება, შევეცადეთ Moodle-ის პროგრამაში აქტივობის BigBlueButtonBN საშუალებით სასწავლო კურსები გაგვემდიდრებინა და ამდენად, აგვეტვირთვა სილაბუსის ცალკეულ თემაზე შექმნილი ვიდეორგოლები და შესაბამისი უახლესი

ინფორმაცია თანამედროვე სკოლის შესახებ. გარდა ამისა, ჩავატარებთ კონსულტაციებს, სტუდენტები მაქსიმალურად იმუშავენ დამოუკიდებელი მუშაობის საათებზე.

- მუშაობის პროცესში მიზანი უნდა იყოს სტუდენტების სწავლის შედეგებზე გასვლა. ამისათვის მივმართავთ თუნდაც პრაქტიკული სამუშაოს მრავალჯერ შესრულებას სხვადასხვა განსხვავებულ სიტუაციაში, რაც ამოცანების პირობაში იქნება წარმოდგენილი. სტუდენტები წარმოადგენენ სამუშაოს ანალიზს. სოციალური დისტანცირების პერიოდში პრაქტიკის საათებზე, რადგან ვერ მოხერხდება სტუდენტთა მუშაობა რეალურ საკლასო ოთახებში, სტუდენტებს დავეხმარები იმუშაონ ვირტუალურ საკლასო ოთახებში.
- ქეისების..სხვადასხვა კომპლექსური დავალებების შექმნით ელექტრონულად.
- მიწოდებული მასალების მიხედვით სტუდენტებს ევალებათ შეადგინონ ანგარიში და წარმოადგინონ ისინი დაცვაზე; ამისთვის ვფიქრობ განმავითარებელი შეფასებას „Soft skills“, რომელსაც სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებლად და დავალებას წარმოადგენს.
- უმრავლესობის პასუხი იყო ის, რომ მათი სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს და შესაბამისად, არ ახორციელებენ ასეთ საქმიანობას.
- სტუდენტები წარმოადგენენ პრაქტიკის ელექტრონულ პორტფოლიოს; მოხდება სტუდენტთა მიერ შესაბამისი დავალებების/დოკუმენტების ელექტრონულად წარმოდგენა. ცვლილებები შევა პრაქტიკის შეფასების კომპონენტებში (შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა ამის საშუალებას იძლევა). გაიზრდება ინტერაქტიული დავალებების წილი, დაემატება აქტივობები, მაგალითად, სტუდენტთა მიერ პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისი ვიდეორგოლებისა და სხვა ვიზუალური მასალის ნახვისა და გაცნობის შემდეგ, რომლებიც ატვირთულია Moodle-ის პროგრამაში, მოხდება მათი განხილვა, ანალიზი და შეფასება. აქტივობების შესრულების დროს ჩატარდება დროული უკუკავშირი.
- აქცენტი გაკეთდება საკითხის პრაქტიკულ გამოყენებაზე სხვადასხვა განსხვავებულ სიტუაციაში. სტუდენტები დაწერენ საქმიანობის ანალიზს, რეფლექსიას; ჩავატარებთ სტუდენტთა თვითშეფასებას. სტუდენტები შეიმუშავენ პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ გეგმას; კითხვარების საშუალებით სტუდენტები შეაფასებენ ასევე პრაქტიკას. სტუდენტთა საშემსრულებლო უნარების შეფასება მოხდება კომპლექსურად. ჩატარდება სტუდენტთა მიერ პორტფოლიოს პრეზენტაცია ელექტრონულად.
- წერითი ნამუშევრები ფასდება საკითხის ცოდნისა და ანალიზის უნარის მიხედვით
სტუდენტები უსმენენ ვიდეო გაკვეთილებს, ტარდება პრეზენტაციები ონლაინ რეჟიმში. საშემსრულებლო უნარებს ვაფასებ უკუგებით უკუგებით

10. აკადემიური და მოწვეული პერსონალი თვლის, რომ პასიურ პოზიციაში მყოფი სტუდენტების ჩართვას სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს აქტიური სტუდენტების ჩართულობით, ხშირი სატელეფონო კავშირებით, ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელების დახმარებით;

- პასიურ პოზიციაში მყოფ სტუდენტებს ვეხმიანები მობილური ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, Facebook-ის საშუალებით და ვცდილობ მათ გააქტიურებას; გასათვალისწინებელია სტუდენტთა ნაწილის აზრი, რომ ისინი Moodle-ის პროგრამაში ვერ ერთვებიან და ითხოვენ დახმარებას. სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, კარგი იქნება უნივერსიტეტის ელექტრონულ პორტალზე თავმოყრილი იყოს

Moodle-ის პროგრამაში მუშაობის ინსტრუქციები ტექსტური, გრაფიკული და ვიდეოფაილების სახით, მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები, რომლითაც ისარგებლებენ როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები და ასევე საკითხით დაინტერესებული პირები (ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმებით, რადგან ასეთი ინსტრუქციები უკვე არის და ვისაც დასჭირდა, ყველას გაეუწყეთ დახმარება).

- დეკანატის გაფრთხილებით და დახმარებით
- კომუნიკაციის, ინდივიდუალური კონსულტაციის გზით; ვთავაზობთ სწავლების და შეფასების სხვადასხვა ფორმას და არჩევანს, ვაწვდით დავალებზე უკუკავშირს; წყვილებში და ჯგუფურ სამუშაოში ჩართვით; ვაძლევთ დავალებებისთვის დამატებით დროს.
- დისტანციური სწავლების მეთოდზე გადასვლამ მანამდე პასიური რამდენიმე სტუდენტი გააქტიურა, მაგრამ ნაწილი მაინც პასიურობს. ტელეფონით უკუკავშირდები და შესაძლო შედეგებზე ვაფრთხილებ.
- ასეთი სტუდენტი მყავს მხოლოდ ერთი. მას არ აქვს თანამედროვე სოციალური ქსელები (არ ვიცი მიზეზი) და ვცდილობ მეილით მაინც გამომიგზავნოს დავალებები.
- არ მყავს პასიურები; სიტყვიერი შეტყობინებით, ახსნა-განმარტებით, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეხსენებით.
- მივწერე პირად ელექტრონულ ფოსტაზე, მესინჯერით დაუკავშირდი შევატყობინე ფაკულტეტის ხარისხის მართვის სპეციალისტს ასეთი სტუდენტების გვარი და სახელი.
- მე ხაზს ვუსვამ სწავლის უპირატესობებს (მოტივაციის ასამაღლებლად, თითოეული კურსის დასაწყისში - პირველი ან მეორე სლაიდი - მე გამომყავს უპირატესობები: რა იქნება განხილული და რა შეიძლება ვისწავლოთ, და გამოვიყენოთ ცხოვრებაშიც;
- ვიყენებ ვიდეო რგოლებს - კიდევ ერთი გზაა სტუდენტის აქტიური ჩართვისთვის სასწავლო პროცესში.
- ვამატებ მოსაწყენ პრეზენტაციებში ინტერაქტიულ დავალებებს;
- ვცდილობ, რომ ვაჩვენო კავშირი სწავლის და კარიერული ზრდას შორის.
- ვცდილობ, დავამატო სწავლის პროცესში კონკურენციის ელემენტები.

11. კითხვაზე გამოკვეთეთ თუ არა სწავლის რომელი შედეგები მიიღწევა სტუდენტების მიერ ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული კურსების ფარგლებში, უმეტესობა თვლის, რომ სილაბუსით გათვალისწინებული ყველა შედეგი მიღწევადია ელექტრონული სწავლების ფორმატშიც.

12. კითხვაზე სასწავლო პროცესის გონივრულ ვადაში (აკადემიური კალენდრის შესაბამისად) დასასრულებლად, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გარდა, ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროდ რაიმე ალტერნატივის შემოთავაზება, პერსონალი აღნიშნავს:

- უნივერსიტეტის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობთ და კიდევაც მივიღებთ სიამოვნებით.
- პედაგოგების უმეტესობის აზრით - უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გონივრულ ვადაში დასრულებას.
- ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ამის საჭიროებას. ვნახოთ სიტუაცია როგორ გაგრძელდება;
- სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადასვლა (თუ ეს ტექნიკურად ხელმისაწვდომი

იქნება სტუდენტთა უმრავლესობისათვის) იქნება ეფექტიანი და ეს პლატფორმა მიაღწევს საკმაოდ საინტერესო აკადემიურ შედეგებს;

- არა, უნივერსიტეტმა ეს საკითხი კარგად გადაწყვიტა;
- ასეთ ვითარებაში ალბათ რთულია სასწავლო პროცესის ვადაში მაღალი ხარისხის მიღწევა; დარწმუნებული ვარ სტუდენტები, რომლებიც არ აქტიურობენ მიზეზად ინტერნეტის ხელმიუწვდომლობას დაასახელებენ (მსგავსი მიზეზი შეიძლება პედაგოგსაც ჰქონდეს). ასეთ სტუდენტებზე რაიმე გამოსავალია მოსაძებნი.
- ჩემი აზრით, გამოწვევას, რომელიც გლობალურად მძვინვარებს, მეტ-ნაკლებად მომზადებულები შევხვდით, მათ შორის მეც. უნდა მომზადდეს ვიდეო ლექციები, მიუხედავად იმისა, რომ დიდ შრომას, დროს და ძალისხმევას მოითხოვს, აუცილებლად უნდა გაკეთდეს. თუმცა, ლექტორს ამ შემთხვევაში უნდა შეექმნას გარკვეული მოტივაცია;
- კარგი იქნება, თუ ფაკულტეტის ადმინისტრაცია შექმნის საგნობრივ ჯგუფებს ფეისბუქ და დამატება ონ-ლაინ ჩატს პედაგოგთან ერთად, ან გაუკეთებს ორგანიზებას ZOOM შეხვედრებს, რათა მეტი პასუხისმგებლობა იგრძნოს როგორც სტუდენტმა, ისე ლექტორმა;

13. კითხვაზე, სწავლების მეთოდების შეცვლასთან დაკავშირებით, ხომ არ გჭირდებათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, პერსონალი აღნიშნავს:

- პედაგოგების აზრით, საინტერესო იქნება დამატებითი რეკომენდაციების მოსმენა, თუმცა ამ ეტაპზე თვლიან, რომ გამოყენებული სწავლების მეთოდებით შეძლებენ სასურველი შედეგების მიღწევას.
- ჯერ ჯერობით არა, თუმცა არ გამოვრიცხავ და მხარდაჭერის იმედიც მაქვს;
- დიახ, moodle-ში ონლაინ ლექციების უზრუნველსაყოფად;
- დაგვჭირდება შუალედური გამოცდების დროს;
- არა, მეთოდები ონლაინ სწავლების პირობებში მცირედ მოდიფიცირდება, სტუდენტის მოტივაციის პირობებში კურსში შეტანილია სწავლების ისეთი მეთოდები, რომელსაც შეუძლია შედეგებზე გასვლა (ფრონტალური სწავლება; ვიდეო ლექცია და მისი ანალიზი, ელ. წყაროებზე მუშაობა, PBL; DBL; CBL; Project BL, Autobiographical narrative...);
- პედაგოგთა უმრავლესობა წერს, რომ ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ დგას. გამოიკვეთა აზრი, რომ „კარგი იქნება ბიბლიოთეკის მიერ სახელმძღვანელოების დასკანერება, ელექტრონული ვერსიების მომზადება“ (მაქსიმალურად არის ეს მიღწეული).

14. კითხვაზე ხომ არ გიზრუნიათ ელექტრონული სწავლების ფორმატში სტუდენტების ჯგუფურ ნამუშევრებში ძლიერი და გასაუმჯობესებელი საკითხების იდენტიფიცირება და აუდიტორიისთვის წარდგენა, 50%-ს არ უზრუნია ამ საკითხებზე;

15. გარდა ლექცია/სემინარებისა, სტუდენტთა კონსულტირებას on-line ფორმატში ახერხებს 95%;

16. ელექტრონული გამოცდების ჩატარების დროს გადაწერისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკების პრევენციისათვის 40% საჭიროდ თვლის ეთიკის კოდექსის მოდიფიცირებას, ხოლო 60% არა;

17. კითხვაზე რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ, რომ შენარჩუნდეს სწავლა/სწავლების ხარისხი, პასუხები ასე ჩამოყალიბდა

- სტუდენტებისთვის კომპიუტერის არქონის პრობლემის რაიმე ფორმით გადაჭრა
- პროგრამა Moodle-ის შესაძლებლობების მაქსიმალური და ეფექტური გამოყენება
- პირდაპირი წვდომა ბიბლიოთეკაში არსებულ ელექტრონულ ბაზებზე

- სტუდენტთა აქტიური ჩართულობა , საკონფერენციო ჩართვები live რეჟიმში;
- მაღალი პასუხისმგებლობა სტუდენტებისა და უნივერსიტეტის წინაშე;
- თითოეულ სტუდენტს მიეცეს ინდივიდუალური დავალება, რაც შეამცირებს ერთი მეორისაგან გადაწერის შემთხვევებს;
- არ მოვადუნოთ სტუდენტებთან კომუნიკაციის სიხშირე;
- ინდივიდუალური მიდგომით სწავლა სწავლების ხარისხი შენარჩუნდება;
- აკადემიური პერსონალისთვის საათების რაოდენობის ცვლილება, კერძოდ პროფესორის დატვირთვა 8 სთ, ასოც.პროფ. 10 სთ., ასისტენტ პროფ. 12 სთ;
- მაღალი ხარისხის ინტერნეტისა და საკომუნიკაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა;
- შესაბამისი სწავლის მეთოდები იქნას გამოყენებული ყველა ლექტორის მიერ;
- ამისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის პასუხისმგებლობა.
- პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა - გამართული კომპიუტერული ტექნიკა, ვიდეოთვალი, მიკროფონი, ხმის გამაძლიერებელი; ჩქარი და უწყვეტი სახით მიწოდებული ინტერნეტი;
- სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
- საკონსულტაციო-მეთოდური დახმარება, კოორდინირებული მუშაობა;
- აქცენტი ინტერაქტიული დავალებების შესრულებაზე, დროული უკუკავშირი.
- მაქსიმალურად სტუდენტის საჭიროებებზე ფოკუსირება, რასაც ვითვალისწინებდით ყოველთვის;
- საჭიროა მუდმივი ჩართულობა და თანამშრომლობა პედაგოგსა და სტუდენტს შორის, სტუდენტების მხრივ გააქტიურება, ასევე თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება პედაგოგებს შორის ადმინისტრაციასთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში.
- საჭიროა სტუდენტების ძლიერი მოტივაცია სწავლის მხვრივ,
- სტუდენტთა და პედაგოგთა მაქსიმალური ჩართულობა საჭირო და მუდამ აქტიურ რეჟიმში. ამისათვის, ვფიქრობ, აუცილებელია პედაგოგის პერიოდული ანგარიში დეკანატთან, მონიტორინგის თვალსაზრისით.
- კეთილსინდისიერება როგორც ლექტორის, აგრეთვე სტუდენტის მხრიდან;
- მოტივაცია, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური ჩაბმა, სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება,
- უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდნენ სტუდენტებმა, რომ მათ მუშაობაზეა დამოკიდებული სასწავლო წელი აკადემიურად გამოცხადდება თუ არა. ძალიან გაამართლა მუდლში და ფბ გვერდებზე, ჯგუფებში ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ჩართვამ. გაცილებით ამაღლდა სტუდენტების პასუხისმგებლობა.
- თითქმის ყოველდღიური ანგარიში გვიწევს ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხთან, საგამოცდო ცენტრთან. ეს მეხმარება პრობლემების მალე გადაწყვეტაში. რაც შეეხება გადაწერას და აკად. არაკეთილსინდისიერების პრევენციას - ამ პრობლემას ვერც ჩვეულებრივი სწავლის პროცესის დროს ვირიდებდით, და ძალიან კარგად ჩანს ნაწერში, ასეთ შემთხვევაში ზეპირი გამოკითხვისა და დამატებითი დავალების მიცემით ვაღწევ ხოლმე თავს. თუმცა სტუდენტები მკაცრად არიან გაფრთხილებული ამის თაობაზე.
- კეთილსინდისიერება;

- სტუდენტებისათვის ნაყოფიერი უნდა იყოს დისტანციური სწავლება. არ უნდა გაუზნდეთ შეგრძნება იმისა, რომ სათანადოდ ვერ იკმაყოფილებენ ინტერესებს დისტანციურად კომუნიკაციის გამო;
- ყველა პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი და სტუდენტი ინტენსიურად უნდა იყოს ჩართული ელექტრონული სწავლების პროცესში;
- ახალი სასწავლო წლის დაწყების მომენტიდანვე, სწავლების პარალელურად (ე.წ. მინი ტრიმესტრის პრინციპით), მსურველი სტუდენტებისათვის და მათივე შემოთავაზებით, საგნების პროგრამების მიხედვით შედგეს (განვლილი მე-2 სასწავლო სემესტრის საგნების) ლექცია-კონსულტაციების დამატებითი გრაფიკი სათანადო შეფასებების (თუნდაც გადაფასებების) მიზნით, რაც ვფიქრობთ უფრო მიმზიდველი და ეფექტური იქნება სტუდენტებისათვის.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის 257 სტუდენტმა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის 101 სტუდენტმა.

პროგრამების მიხედვით გამოკითხვაში მონაწილეთა წილი ასე გადანაწილდა:

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები - 61,5%;

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები - 34,1 %;

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები - 4,5%

ხოლო კურსების მიხედვით:

I კურსი - 17 %;

II კურსი - 23 %;

III კურსი - 41%;

IV კურსი - 19%.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული ფაკულტეტის 32 სტუდენტმა. სტუდენტთაგან 36.4% იყო I კურსის სტუდენტი, 45.5% II კურსის სტუდენტი, 9,1% III კურსის სტუდენტი და ასევე, 9,1% IV კურსის სტუდენტი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 63 სტუდენტმა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მითითებულია მონაწილეთა პროცენტულობა):

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 28,8%

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 14,3%

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო - 11,1%

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 34,9%

სხვა დანარჩენი 10,9 %:

ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარებულ სტუდენტთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 61 სტუდენტმა, რაც აქტიური სტუდენტების მიახლოებით 49% -ია.

სპეციალობების მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი მაჩვენებელი:

- 56,9% - ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
- 11,8% - ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- 21,6% - აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- 5 % - ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- 3% - აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მათ შორის

- 39,2% -1 კურსი
- 29,4% - 2 კურსი
- 15,7% -3 კურსი
- 15,7% -4 კურსი

1. კითხვაზე, დაგჭირდათ, თუ არა ელექტრონული საშუალებების გამოყენების ელექტრონული სახელმძღვანელო, გამოკითხულთა 90% აღნიშნავს, რომ დასჭირდა, ხოლო 10%-ს არ დასჭირვებია, რადგან სავარაუდოდ მათ უკვე ჰქონდათ ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებაში ელექტრონული რესურსებით სწავლების გამოცდილება;
2. დაგჭირდათ, თუ არა ელექტრონული საშუალებების გამოყენების ელექტრონული სახელმძღვანელო? გამოკითხულთა 90% თვლის, რომ აქვს პედაგოგთან კომუნიკაციისთვის შესაბამისი ელექტრონული საშუალებების არჩევის შესაძლებლობა;
3. რომელ ელექტრონულ საშუალებებს იყენებთ ლექტორთან კომუნიკაციისას? ლექტორთან კომუნიკაციისას სტუდენტები იყენებენ ძირითადად შემდეგ ელექტრონულ საშუალებებს: Moodle, skype, facebook, messenger, Viber, ელფოსტა, Zoom, ტელეფონი;
4. გექმნებათ თუ არა სირთულეები ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით? ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით 60%-ს არ ექმნება სირთულეები და ამავე დროს საკამოდ კომფორტულად თვლის აღნიშნულ ფორმატს, ხოლო 40 % -ს აქვს სირთულეები:
 - ინტერნეტ კავშირის დაბალი სიჩქარე, wifi-ს და ლეპტოპის არ ქონა;
 - დავალებებზე მითითებული შეზღუდული ვადები;
 - ვიდეოლექციებზე ჩართვის პრობლემა;
 - ასეთი ფორმატით ამოცანების სწორად გაგება და ამოხსნა;
 - პირადად ლექტორთან ურთიერთობის გარეშე რთულია მასალის აღქმა და ანალიზის გაკეთება;
 - კომპიუტერთან მუდმივი კონტაქტი ჯანმრთელობის პრობლემებთან არის დაკავშირებული.
5. კითხვაზე ვის მიმართეთ დასახმარებლად, იმ შემთხვევაში თუ შეზღუდული გქონდათ წვდომა ინტერნეტთან ან სწავლისათვის შესაბამისი სივრცე სახლებში, სტუდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მსგავსი დახმარება არ დასჭირვებია, ხოლო დანარჩენი აღნიშნავს, რომ მიმართავდა ლექტორს, მეგობრებს, დეკანს, moodle-ს პროგრამის კოორდინატორს, ხარისხის სამსახურს, ადმინისტრაციას.

6. ხომ არ გექმნებათ სირთულეები სტუდენტთა შეფასების ფორმებთან დაკავშირებით? გამოკითხულ სტუდენტთა 80%-ს არ აქვს სირთულეები შეფასების ფორმებთან დაკავშირებით,
7. ხომ არ გექმნებათ სირთულეები საბიბლიოთეკო რესურსზე წვდომასთან დაკავშირებით? 78%-ს არ აქვს სირთულეები საბიბლიოთეკო რესურსზე წვდომასთან დაკავშირებით
8. ხომ არ გექმნებათ სირთულეები საინფორმაციო წყაროებზე წვდომასთან დაკავშირებით? 85,4%-ს არ აქვს სირთულეები საინფორმაციო წყაროებზე წვდომასთან დაკავშირებით;
9. შეძელით თუ არა აქტიური ჩართულობა სალექციო/სასემინარო მუშაობაში? აქტიური ჩართულობა სალექციო/სასემინარო მუშაობაში შეძლო გამოკითხულთა 80%-მა;

კითხვაზე, როგორ ახორციელებთ პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ არ აქვთ ასეთი მეცადინეობები ან თუ აქვთ ძირითადად პრაქტიკული ამოცანების ამოხსნას ახორციელებენ, ტვირთავენ moodle-ში და ელოდებიან შეფასებას; სტუდენტთა უმრავლესობა სემინარების მეშვეობით ახორციელებს პრაქტიკულ სამუშაოებს, ინდივიდუალურად, დავალებებს ტვირთავენ როგორც მესენჯერში, ისევე moodle-ს პროგრამაში. თუ word-ის ფაილში მუშაობის პრობლემა აქვთ, დავალებას წერენ ხელით, გადაუღებენ ფოტოს და ასე უგზავნიან სხვადასხვა გზით. ჩვენი ფაკულტეტის სასწავლო კურსებში ლაბორატორიული სამუშაოები ნაკლებად არის და ამიტომ, არ საჭიროებენ ასეთი ტიპის მეცადინეობებს. ძირითადად, ფაკულტეტზე არსებული პროგრამები არ ითვალისწინებს პრაქტიკას, ამიტომ სტუდენტები აფიქსირებენ, რომ არ აქვთ. თუმცა დაწყებითი მასწ. ინტეგრ. საბაკ.-სამაგ. პროგრამაზე, სადაც არის პრაქტიკა, სტუდენტებს ეხმარებიან ლექტორები: „ამაში გვეხმარებიან ლექტორები და მისასალმებელია ისიც რომ პრაქტიკაში სტუდენტები ჩართულები ვართ, ამით ვფიქრობ, რომ ბევრი უნარი გამოგვიმუშავდება პირველი ასეთი უნარია ინფორმაციის მოძიების, რაზეც ვფიქრობ, რომ ეს საუკეთესო პრაქტიკაა“.

10. როგორ ახორციელებთ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, სტაჟირებას და საშემსრულებლო უნარების მიღწევას?

ძირითადად, ფაკულტეტზე არსებული პროგრამები არ ითვალისწინებს პრაქტიკას, ამიტომ სტუდენტები აფიქსირებენ, რომ არ აქვთ. თუმცა დაწყებითი მასწ. ინტეგრ. საბაკ.-სამაგ. პროგრამაზე, სადაც არის პრაქტიკა, სტუდენტებს ეხმარებიან ლექტორები: „ამაში გვეხმარებიან ლექტორები და მისასალმებელია ისიც რომ პრაქტიკაში სტუდენტები ჩართულები ვართ, ამით ვფიქრობ, რომ ბევრი უნარი გამოგვიმუშავდება პირველი ასეთი უნარია ინფორმაციის მოძიების, რაზეც ვფიქრობ, რომ ეს საუკეთესო პრაქტიკაა“. პრაქტიკის გასავლელად გამოიძებნა ალტერნატიული გზები, რასაც პროგრამის ხელმძღვანელი წერილობით წარუდგენს ფაკულტეტს.

11. როგორ ახორციელებთ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, სტაჟირებას და საშემსრულებლო უნარების მიღწევას?

ძირითადად, ფაკულტეტზე არსებული პროგრამები არ ითვალისწინებს პრაქტიკას, ამიტომ სტუდენტები აფიქსირებენ, რომ არ აქვთ. თუმცა დაწყებითი მასწ. ინტეგრ. საბაკ.-სამაგ. პროგრამაზე, სადაც არის პრაქტიკა, სტუდენტებს ეხმარებიან ლექტორები: „ამაში გვეხმარებიან ლექტორები და მისასალმებელია ისიც რომ პრაქტიკაში სტუდენტები ჩართულები ვართ, ამით ვფიქრობ, რომ ბევრი უნარი გამოგვიმუშავდება პირველი ასეთი უნარია ინფორმაციის მოძიების, რაზეც ვფიქრობ, რომ ეს საუკეთესო პრაქტიკაა“.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ არსებული საფრთხის გადავლის შემდეგ აქცენტი პრაქტიკული მეცადინეობების ათვისებას დაეთმოს (წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით)? სტუდენტთა უმრავლესობა (81%) თვლის, რომ საჭიროა საფრთხის გავლის შემდგომ პერიოდში აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული მეცადინეობების ათვისებაზე, თუმცა 19% არ თვლის ასე.

13. გამოკვეთეთ თუ არა სწავლის რომელი შედეგები მიიღწევა სტუდენტების მიერ ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული კურსების ფარგლებში?

სტუდენტები წერენ, რომ პედაგოგები ცდილობენ სილაბუსის მიხედვით გავიდნენ შედეგებზე.

„ინოვაციების და ტექნოლოგიების ეპოქაში ეს მოდელი მოგვცემს საშუალებას დავხელოვნდეთ დისტანციური სწავლების მეთოდებში. ეს დაზოგავს ჩვენ დროს, თეორიული მასალის ამ მეთოდით მიღება ძალიან მოქნილი და შედეგობრივია. დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების, ამასთანავე, უფრო მეტი სტუდენტი ესწრება ლექციას; კომპიუტერული უნარ-ჩვევების უკეთ ათვისება და დისტანციურად სწავლების, მუშაობის უნარები, კვლევა დასწავლა, პრეზენტაციებისა და დავალებების ელექტრონული მიწოდება; სტუდენტები სწავლობენ და ეჩვევიან ელექტრონულ სწავლებას, ტექნოლოგიებთან აქვთ მჭიდრო კავშირი და სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ესა თუ ის პროგრამა“; დამოუკიდებლად ონლაინ მუშაობის უნარი; გამოკვეთილად შეიძლება ითქვას ის, რომ ელექტრონული მუშაობა აუმჯობესებს მათ დამოკიდებულებას სწავლისადმი სახლიდან გაუსვლელად აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ლექტორების მიერ გამოგზავნილი მასალა, რომლის დამუშავების საშუალება აქვთ სახლიდან გაუსვლელად. შედეგებიც არ დააყოვნებს.

14. სასწავლო პროცესის გონივრულ ვადაში (აკადემიური კალენდრის შესაბამისად) დასასრულებლად, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გარდა, ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროდ რაიმე ალტერნატივის შემოთავაზება? სტუდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ არ საჭიროებს სხვა ალტერნატივას. „ჩვენი უნივერსიტეტი და განსაკუთრებით, ფაკულტეტი, ყველაფერს აკეთებს, რომ სასწავლო პროცესი კარგად წარიმართოს. ალბათ უკეთესად იცის ადმინისტრაციამ.

15. სწავლების მეთოდების შეცვლასთან დაკავშირებით, ხომ არ გჭირდებათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა?

სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექტორებისგან, უნივერსიტეტისგან, ფაკულტეტისგან მიღებული მხარდაჭერით. „ვიღებთ ეტაპობრივად შესაბამის რეკომენდაციებს ლექტორებიდან, ისინი მუდმივ კავშირზე არიან ჩემთან.

უნივერსიტეტისგან უკვე ვგრძნობთ დიდ მხარდაჭერას. მაღლობა ასეთი თანადგომისთვის.

უნივერსიტეტი ისედაც გვიდგას მხარში და გვეხმარება თითოეულ სტუდენტს, იქ მისვლის გარეშე მივიღოთ ცოდნა, რომელიც უნდა მიგვეღო.

გამოიკვეთა ერთი საკითხი, რომელიც საყურადღებოა. „ძალიან მადარდებს საბაკალავრო ნაშრომის საკითხი. მოვასწრებ თუ ვერა დაწერას და დავცავ დანიშნულ ვადებში. მასალა სრულად ჩასაწერი მქონდა მოსახლეობისგან და ვერ ვახერხებ კომუნიკაციას ასაკოვან ხალხთან“.

16. გარდა ლექცია/სემინარებისა, კონსულტაციების მიღებას on-line ფორმატში ახერხებს გამოკითხულთა 85%;

17. ელექტრონული გამოცდების ჩატარების დროს გადაწერისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკების პრევენციისათვის ეთიკის კოდექსის მოდიფიცირებას საჭიროდ თვლის 35,7%;

18. კითხვაზე, რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ, რომ შენარჩუნდეს სწავლა/სწავლების ხარისხი, სტუდენტები აღნიშნავენ:

- ხშირად დავესწროთ ონლაინ ლექციებს და მუდმივად შევასრულოთ დავალებები;
- მონდომება, ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ინტერნეტი, ელექტრონული წიგნები;
- უნდა ვიმეცადინოთ ისე, როგორც უნივერსიტეტში სიარულის დროს ვმეცადინებოდით და უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა, ეკონომიკა უკან იხევს და ჩვენც თუ არ ვისწავლით უფრო გაუარესდება.
- გათვალისწინებული უნდა იყოს უნივერსიტეტის შესაძლებლობები, და რა თქმა უნდა ის ფაქტიც რომ ძალიან ბევრ სტუდენტს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, ყველა სიკეთესთან ერთად სრულიად გაუმართავია დისტანციური სწავლება!!
- ყველა უნდა იყოს კონცენტრირებული სწავლებაზე და ყველა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს უნდა აკეთებდეს.
- მეტი მხარდაჭერა ყველა პირის მხრიდან, ერთმანეთს მეტად გავუგოთ და მეტი ოპერატიულობა
- პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული მდგომარეობის სირთულე და შევეცადოთ ალტერნატიული საშუალებების გამოიყენოთ. კეთილსინდისიერად შევასრულოთ დაკისრებული ვალდებულება და შევეცადოთ ამ სირთულეებმა არ შეუშალოს ხელი ჩვენი ცოდნის მიღების პროცესს. პასუხისმგებლიანად და გაგებით მოვეკიდოთ შექმნილ მდგომარეობას. გავითვალისწინოთ, რომ ეს სიახლეა და შესაბამისად ექნება ხარვეზები, მაგრამ შესაძლებელია მეტი ჰუმანურობა და გამგებიალობა!
- მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ როგორც ლექტორები ისე სტუდენტები, დისტანციურად სწავლის პროცესის განხორციელებას.
- ფაქტორი, რომ აღნიშნულ სიტუაციაში სხვა ალტერნატივა არ არსებობს და ამავე დროს აუცილებელია კარგი აკადემიური მოსწრება რათა არ ჩამოვრჩეთ მასალას.
- დღევანდელი სირთულეების გათვალისწინება.
- მეტი მხარდაჭერა პედაგოგებისგან და გამართული ონლაინ პლატფორმები.
- ისინი თვლიან, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მათზე და გააკეთებენ ყველაფერს, რათა შენარჩუნებული იქნეს სწავლის ხარისხი. აქტიურად უნდა ჩაერთონ ყველა ლექციასა და სემინარში, სწავლა ამ ფორმატშიც საკმაოდ შედეგიანი იქნება.
- დიდ როლს ანიჭებენ პროფესურას. ისინი თვლიან, რომ ყველა ლექტორი უნდა იყოს ყურადღებიანი, მოტივირებული, რომ ახსნას ახალი თემა, შემდეგ მისცეს საშინაო დავალება და გამოიკითხოს და შეაფასოს დროულად.
- თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნას სტუდენტთა ფსიქოლოგიური და სოციალური გარემო, რაც ბევრად გასხვავდება უნივერსიტეტის გარემოსგან და ბევრს უჭირს ამ გარემოში ცოდნის მიღება და ფიქრობენ, რომ უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები
- ონლაინ სწავლება იმ ხარისხს ვერ შეედრება რასაც უშუალოდ უნივერსიტეტში მისვლისას იღებენ!
- იძლევიან რეკომენდაციებს, სიმკაცრე გამოიჩინონ ლექტორებმა და ლექტორებიც შემოწმდნენ, თუ როგორი მოსწრება აქვთ სტუდენტებს.
- საყურადღებოა მუდმივი წვდომა ინტერნეტთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ოჯახს არ აქვს ინტერნეტის საშუალება. ტელეფონით კი ვერ ასრულებენ შესაბამის დავალებებს და თანხაც ბევრი მიაქვს ტელეფონის ინტერნეტს;
- ყველა ლექტორმა უნდა დაიწყოს მუდლის გამოყენება, სხვა პლატფორმების გამოყენება

იწვევს გაუგებრობას.

- გამოკითხვების ანალიზში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გამახვილდა ყურადღება, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სწავლა/სწავლების პროცესისთვის და ხარისხის შენარჩუნებისთვის, რომელზედაც ფაკულტეტისა და რექტორატის ერთობლივი ჩართულობით შევეცდებით საკითხის გადაჭრის გზების მოძიებას.

დასკვნები:

1. ცალკეული კითხვების მიხედვით პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობას ელექტრონული სწავლებისას არ ექმნება სირთულეები სტუდენტთა შეფასების, სასწავლო პროცესის წარმართვისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ.
2. გამოკითხული პერსონალი ახერხებს სტუდენტთა კონსულტირებას on-line ფორმატში.
3. პროცესის წარმატებით მიმდინარეობის მიუხედავად, პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ არსებული საფრთხის გადავლის შემდეგ პრაქტიკულ მეცადინეობებზე გაკეთდეს უფრო მეტი აქცენტი.
4. სტუდენტებთან კომუნიკაციისას აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს შემდეგ ელექტრონულ საშუალებებს: ძირითადად Moodle, Big Blue Button, მცირე ნაწილი კი - Messenger, ელ ფოსტა, Zoom, viber, WhatsApp, Skypes, Google Meet, სმარტფონი;
5. პერსონალი გამოხატავს კმაყოფილებას უნივერსიტეტიდან მიღებული კონსულტაციებისა და თანამშრომლობისათვის.
6. სწავლა/სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის პერსონალი აცნობიერებს როგორც საკუთარ ასევე სტუდენტების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საკითხებს.

რეკომენდაციები:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდეს ელექტრონული სწავლების ინსტრუქცია;
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმოს საკონსულტაციო სახის შეხვედრები ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან;
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განმეორებით უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ელექტრონული სწავლებისთვის ტრენინგების ჩატარებას, როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურ რეჟიმში. ტრენინგების რაოდენობა განისაზღვროს საჭიროებების შესაბამისად;
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოხდეს იმ სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელობითი განსაზღვრა, ვისაც აქვს ხელისშემშლელი გარემოებები ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებზე;
5. შემუშავდეს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ელექტრონულად/დისტანციურად სწავლების ფორმატში ჩართვისათვის ხელშემწყობი მექანიზმები.
6. შემუშავდეს პასიურ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისათვის ელექტრონულად/დისტანციურად სწავლების ფორმატში ჩართვისათვის ხელშემწყობი

მექანიზმები.

7. შემუშავდეს ელექტრონული/დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის მექანიზმები.
8. სემესტრის დასრულებისას შემუშავდეს დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვისა და შეფასების მექანიზმები (სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევების საშუალებით).